ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

SWEDEN

Helping Hand

**„ჰელფინგ ჰენდი“**

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და სი-არ-არ-სი საქართველოს მხარდაჭერით

**ახალგაზრდების დამოკიდებულება მოხალისეობისადმი**

# ა ნ გ ა რ ი შ ი

21 აგვისტო 2013

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

Helping Hand

SWEDEN

**კვლევა განხორციელდა პროექტის ”მოხალისეობის განვითარება სამოქალაქო ცვლილებებისათვის” ფარგლებში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით**

## განსაკუთრებული მადლობა

- სი-არ-არ-სი საქართველოს კვლევების დირექტორს ქალბატონ თინათინ ზურაბიშვილს გაწეული კონსულტაციების, მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის;
- სი-არ-არ-სი საქართველოს კონსულტანტთა ჯგუფს: სოფო მჭედლიშვილს, დავით სიჭინავას, ნინი ქერქაძეს კვლევის კითხვარების შედგენის და მონაცემთა ბაზის პროცესში გაწეული დახმარებისათვის;
- მერაბ ბოჭოიძეს, „ჰელფინგ ჰენდის“ მოხალისესა და ზემო ავსტრიის გამოყენებით მეცნიერებათა უმაღლესი სასწავლების მაგისტრს კვლევის ანგარიშის მომზადებისათვის;
- ავთანდილ მამალაშვილს, „ჰელფინგ ჰენდის“ მოხალისეთა კოორდინატორს ინტერვიუერთა ჯგუფის ხელმძღვანელობისა და კვლევის ასისტენტობისათვის;
- საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის, ილიაუნის ”ახალგაზრდა სოციოლოგთა გაერთიანების” წევრებს კვლევის ფარგლებში ჩატარებეული ინტერვიუებისათვის;
- „ჰელფინგ ჰენდის“ მოხალისეებს.

# სარჩევი

**წინასიტყვაობა**

**პირველი კომპონენტი**

კვლევის მიზანი

კვლევის მეთოდოლოგია

პირველი კომპონენტის კვლევის შედეგები

დემოგრაფული მაჩვენებლები

მოხალისეთა საქმიანობა

მოხალისეობა „ჰელფინგ ჰენდის“ პარტნიორ ორგანიზაციებში

მოხალისეობა „ჰელფინგ ჰენდში“ - განწყობები და დამოკიდებულებები

დასკვნა

**მეორე კომპონენტი**

კვლევის მიზანი

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის შედეგები

დემოგრაფიული მაჩვენებლები

მოხალისეობა თბილისში

**შემაჯამებელი დასკვნა**

**დანართი**

უნივერსიტეტების სია

პირველი კომპონენტის კითხვარი

მეორე კომპონენტის კითხვარი

## წინასიტყვაობა

მოხალისეობა მრავალმხრივი ფენომენია და დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მძლავრი იარაღი. მოხალისეობა ხელს უწყობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას.

მოხალისეები მოღვაწეობენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, მაგალითად, სოციალური კეთილდღეობა, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვა, ჰუმანიტარული დახმარება, ჯანდაცვა, სიღარიბის აღმოფხვრა და ა.შ.

ადამიანების მხრიდან ადამიანთა დახმარება საქართველოში უძველესი დროიდან იღებს სათავეს და საკმაოდ დიდი ისტორიაც აქვს. ადამიანის ცნობიერებაში მყარად აქვს ფესვები გადგმული სხვათა დახმარებას, მაშინ როცა მაგალითად, ადგილი აქვს ქორწილს, ქელეხსა თუ ქართულ სუფრას. თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ისტორიას, დავინახავთ, რომ მოხალისეობის ქართული გაგება „დაეხმარე სხვას“ და მისი განვითარების პირველი ნაბიჯები ჩვენს მიერ ზემო აღნიშნული ფორმების სახით არსებობდა და ფართო გავრცელებას ჰპოვებდა.

მოხალისეობა საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა და მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოხალისეობრივი საქმიანობების ხელშეწყობის კუთხით დემოკრატიულ ქვეყნებს; აქედან გამომდინარე, მოხალისეობა არც თუ ისე პოპულარულია, სიტყვა „მოხალისეს“ კი საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულების მატარებელი დატვირთვა ჯერ კიდევ არ აქვს; უფრო მეტიც, არ არსებობს „მოხალისეობის“ და „მოხალისის“ სამართლებრივი განმარტებები, შესაბამისად არ არის განსაზღვრული საბაზისო უფლება-მოვალეობანი.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ცვლილებები მოხალისეობის განვითარების კუთხით მიმდინარეობს, შეიძლება ითქვას, ეს ინსტიტუტი საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. დღესდღეობით, ახალგაზრდების მხოლოდ 15% არის ჩართული მოხალისეობრივ საქმიანობაში. თუმცა მიგვაჩნია, რომ არსებობს დიდი პოტენციალი და საჭიროა კონკრეტული ნაბიჯების გადაგდმა: კერძოდ, საკითხის შესწავლა, მოხალისეთა მობილიზება, მოხალისოებრივი პროგრამების განვითარება, და ა.შ.

მოხალისეობის განვითარებისა და კულტურის ხელშეწყობის ერთ-ერთი გზა ახალაგაზრდების გააქტიურებაა ამ მიმართულებით.ეს შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, საზოგადოების განვითარების პროცესებში აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ. აღსანიშნავია, რომ მოხალისეობა ხელს უწყობს

ახალგაზრდებში თავისუფალი დროის სასარგებლოდ გამოყენებას, ახალი ინტერესის სფეროს გაჩენას, ცოდნის გაღრმავებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, საკუთარი ინიციატივების განხორციელებას, პროფესიული გამოცდილების შეძენას, ახალი ადამიანების გაცნობას და ბოლოს - სოციალური სარგებლიანობის შეგრძნებას.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელფინგ ჰენდი" დაარსების დღიდან ახდენს ახალგაზრდების მობილიზებასა და მათ ინფორმირებულობას და მოხალისეობრივ პროგრამებში ჩართულობას. ამჟამად, „ჰელფინგ ჰენდის" „მოხალისეთა ინკუბატორში" 300 ახალგაზრდაა გაერთიანებული. მოხალისეებთან მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ „მოხალისეთა ინკუბატორის" მსგავსი მოხალისეთა რესურ ცენტრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც უნდა ჩამოყალიბდეს. აუცილებელია ასევე, მოხალისეთა მართვისა და მობილიზების მეთოდების გამოყენების პრაქტიკაში დანერგვა.

წარმოდგენილი კვლევის პრობლემატიკა ეხება, ერთის მხრივ, მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული მოხალისე ახალგაზრდების მოხალისეობრივი საქმიანობის შესწავლას, მოხალისეობისას მათი პრობლემების იდენტიფიკაციას, ასევე იმის შესწავლას, თუ რა გავლენას ახდენს „ჰელფინგ ჰენდის" მიერ შეთავაზებული მოხალისეობრივი პროგრამები მოხალისეობის კულტურის განვითარებაზე თბილისში. კვლევის მეორე კომპონენტის მიზანი იყო, დაგვედგინა თბილისში მცხოვრები სტუდენტების დამოკიდებულება მოხალისეობისადმი და განგვესაზღვრა მათი ინფორმირებულობის დონე, რათა გაირკვეს, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ სტუდენტთა დაინტერესებას მოხალისეობრივი საქმიანობით და, პირიქით, რა გარემოებები უშლის ხელს მათ ჩართულობას ამ საქმიანობაში.

## პირველი კომპონენტი

### კვლევის მიზანი

კვლევის პირველი კომპონენტის მიზანი გახლდათ „ჰელფინგ ჰენდის“ მოხალისეების მოხალისეობრივი საქმიანობის შესწავლა და დადგენა, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს მათი ჩართულობა ამ საქმიანობაში. გარდა ამისა, კვლევის საფუძველზე ორგანიზაცია შეეცადა დაედგინა, არსებობს თუ არა რაიმე სახის დაბრკოლებები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მოხალისეს ორგანიზაციასთან თანამშრომლობასა ან თანამშრომლობის გაგრძელებაში. აგრეთვე, კითხვების ნაწილი მიმართული იყო იმაზე, რომ დაედგინა, თუ რა გავლენას ახდენს „ჰელფინგ ჰენდის“ მიერ შეთავაზებული მოხალისეობრივი პროგრამები მოხალისეობის კულტურის განვითარებაზე. კვლევის შედეგები ორგანიზაციას დაეხმარება იმ პრობლემების გამოვლენაში, რისი აღმოფხვრაც მომავალში ხელს შეუწყობს მოხალისეობის მენეჯმენტის განვითარებას, რათა მოხდეს აქტიურად და ფართო მასშტაბებით ახალგაზრდების მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვა და ასევე, უფრო ეფექტური მოხალისეობრივი პროგრამების შექმნა საქართველოს მასშტაბით.

### კვლევის მეთოდოლოგია

საკითხის შეაწავლის მიზნით ჩატარდა მოხალისეების ონლაინ გამოკითხვა. კითხვარის ბმული გაეგზავნა „ჰელფინგ ჰენდის“ 180 მოხალისეს, რომელიც ორგანიზაციის ბაზაში არსებობდა.გამოკითხვა ჩატარდა 2013 წლის აპრილში. ონლაინ კითხვარი შეავსო 165-მა რესპონდენტმა, ყველა მათგანი გამოკითხვის პერიოდში თბილისში ცხოვრობდა. აქედან 162 შევსებული კითხვარი აღმოჩნდა ვალიდური. რესპონდენტთა ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს.

კითხვარი ოთხი ბლოკისგან შედგებოდა:

1. დემოგრაფიული ნაწილი;
2. ზოგადი ინფორმაცია მოხალისეების ინტერესებისა და საქმიანობის შესახებ;
3. მოხალისეობა „ჰელფინგ ჰენდის“ პარტნიორ ორგანიზაციებში;
4. მოხალისეობა „ჰელფინგ ჰენდში“ - განწყობები და დამოკიდებულებები.

კითხვარი დასაწყისში გვაძლევს რესპონდენტთა დემოგრაფიულ მონაცემებს. მას მოსდევს მეორე ბლოკი, რომელიც შემდეგ ინფორმაციას იძლევა:

- მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულების მიზნებსა და მიზეზებზე;
- მოხალისეობრივი საქმიანობისათვის დათმობილი დროის შესახებ;
- მოხალისეების ინფორმირებულობის დონის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მოხუცებთან, უსახლკარო ბავშვებთან და სოციალურად დაუცველ ადამიანებთან ურთიერთობის ფორმებზე;
- მოხალისეობრივი საქმიანობის სფეროების შესახებ, რომლებითაც მოხალისეები ინტერესდებიან.

კითხვარის მესამე ბლოკი შემდეგ საკითხებს ეხება:

- მოხალისეთა ჩართულობის დონე „ჰელფინგ ჰენდის“ პარტნიორ ორგანიზაციებში;
- მოხალისეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- მოხალისეთა დამოკიდებულება „ჰელფინგ ჰენდის“ პარტნიორ ორგანიზაციებისადმი.

ხოლო კითხვარის მეოთხე ნაწილი იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორია:

- მოხალისეობა „ჰელფინგ ჰენდში“;
- მოხალისეობრივი საქმიანობით მიღებული გამოცდილების შეფასება;
- „ჰელფინგ ჰენდის“ მოხალისეთა ურთიერთდამოკიდებულებები.

## პირველი კომპონენტის კვლევის შედეგები

### დემოგრაფიული მაჩვენებლები

გამოკითხულთა უმრავლესობა (85%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, დანარჩენი 15%, რომელიც სულ 25 კაცს წარმოადგენს, არის მამრობითი სქესის. რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი (83%) ბაკალავრიატის სტუდენტი აღმოჩნდა, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები, შესაბამისად, 10%–ს და 7%-ს შეადგენენ. აგრეთვე მწირეა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ქორწინებაში იმყოფებიან (3 ადამიანი), და არცერთ მათგანს არ ჰყავს შვილი.

მოხალისეთა საქმიანობის შესწავლიდან იკვეთება, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას (77%) არ გააჩნია ანაზღაურებადი სამსახური, 12%-ს აქვს დროებითი სამსახური, და მხოლოდ 7% მუშაობს სრულ განაკვეთზე (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1




გამოკითხვამ ასევე გამოავლინა, რომ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (48%) სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 21% ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. გამოკითხულ მოხალისეთა მომავალი პროფესიებიდან ჭარბობს სოციოლოგიისა (15%) და ფსიქოლოგიის (14%) დარგები.

**მოხალისეთა საქმიანობა**

გამოკითხულ მოხალისეთა მოტივაციის დასადგენად რესპონდენტებს დავუსვით კითხვა, თუ რატომ გადაწყვიტეს მოხალისეობა. დაახლოებით ერთმა მესამედმა (32%) აღნიშნა რომ მათთვის პიროვნული თვისებებისა და უნარების განვითარება იყო მთავარი მიზეზი, ხოლო 30%-მა მოხალისედ დაიწყო მუშაობა, რადგან თვლიდა, რომ აღნიშნული გამოცდილება სამომავლო კარიერისთვის გამოადგებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 21%-მა მოხალისედ მუშაობის მთავარ მოტივაციად დაასახელა კეთილი საქმის უანგაროდ კეთების სურვილი (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2




რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა დააფიქსირა, რომ თვეში საშუალოდ 5-დან 10 დღემდე მუშაობდნენ მოხალისედ, იმ პერიოდში, როდესაც ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოხალისეობრივ საქმიანობაში. ამავდროულად, გამოკითხულთა 65%-მა აღნიშნა, რომ ისინი მეტ დროს დაუთმობდნენ მოხალისეობას, თუკი მათ მეტი თავისუფალი დრო ექნებოდათ.

კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას (73%) ხშირად ან მუდმივად უწევდათ ურთიერთობა შეზღუდული შესაძლებლიბის მქონე და სოციალურად დაუცველ ადამიანებთან მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულებისას. გამოკითხულ მოხალისეთა მხოლოდ 9%-მა, რომელიც წარმოადგენს

15 ადამიანს, თქვა, რომ მათ არასდროს ჰქონიათ ურთიერთობა ასეთ ადამიანებთან (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულებისას, რამდენად ხშირად გქონიათ ურთიერთობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან, მოხუცებთან, უსახლკარო ბავშვებთან ან სხვა სოციალურად დაუცველ ადამიანებთან? (%)




მათ შორის, ვისაც მოხალისეობის დროს ჰქონია ურთიერთობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მოხუცებთან, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებთან და სხვა სოციალურად დაუცველ ადამიანებთან, ნახევარზე მეტი (53%) „ჰელფინგ ჰენდის" მეშვეობით იღებდა ინფორმაციას იმ ურთიერთობის ფორმების შესახებ, რომლებიც მათ გამოადგებოდათ სოციალურად დაუცველ ადამიანებთან ურთიერთობისას, ხოლო დაახლოებით ერთი მესამედი (32%) აღნიშნულ ინფორმაციას დამოუკიდებლად პოულობდა (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

**მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულების დროს, როგორ იღებდით ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან, მოხუცებთან და უსახლკარო ბავშვებთან ურთიერთობის ფორმების შესახებ? (%)**




აგრეთვე აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა დაახლოებით ორი მესამედი (65%) თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მოხუცებთან, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებთან და სხვა  სოციალურად დაუცველ პირებთან მუშაობის დაწყებამდე აუცილებელია წინასწარ ფლობდნენ ინფორმაციას მათთან ურთიერთობის ფორმების შესახებ. ამ ინფორმაციის აუცილებლობის საჭიროებასვერ ხედავსგამოკითხულთა მხოლოდ 2%, რომელიც სულ 3 ადამიანს წარმოადგენს. ამასთან, გამოკითხულ მოხალისეთა 44%-მა აღნიშნა, რომ მოხალისეობრივი საქმიანობის დაწყებამდე მათ უმეტეს შემთხვევაში სჭირდებოდათ გარკვეული ტრეინინგი ან დამატებითი ინფორმაციის მიწოდება (იხ. დიაგრამა 5).

**თქვენი გამოცდილებით, მოხალისეობრივი საქმიანობის დაწყებამდე რამდენად გჭირდებათ სპეციალური მომზადება/დამატებითი ინფორმაციის მიწოდება/დამატებითი ტრეინინგები მოხალისეობრივი საქმიანობების უკეთ შესასრულებლად? (%)**




რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (56%) არასოდეს არ მოუწია მოხალისეობრივი საქმიანობის გაცდენა გზის ფულის არქონის გამო. მსგავსი მატერიალური პრობლემა გამოკითხულთა 36%-ს იშვიათად შეემთხვა, ხოლო 8%-მა აღნიშნა, რომ მათ ხშირად უწევდათ მოხალისეობრივი საქმიანობის გაცდენა გზის ფულის არქონის გამო. ამავდროულად, რესპონდენტთა 39%-ის აზრით, ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს მცირე ფინანსური წახალისება მოხალისეებისთვის, რომელიც მათი გადაადგილებისა და კვების ხარჯებს დაფარავს მოხალისეობრივი სამუშაოს შესრულების დროს. გამოკითხულ მოხალისეთა ნახევარზე ოდნავ მეტი (54%) მსგავს წახალისებას სასურველად მიიჩნევს, თუმცა არა აუცილებლად (იხ. დიაგრამა 6).

თქვენი აზრით აუცილებელია თუ არა, რომ მოხალისეებს ჰქონდეთ მცირე ფინანსური წახალისება ორგანიზაციის მხრიდან, რათა მათ უზრუნველყონ გადაადგილების და კვების ხარჯები მოხალისეობრივი სამუშაოების შესრულების დროს? (%)




## მოხალისეობა „ჰელფინგ ჰენდის“ პარტნიორ ორგანიზაციებში

გამოკითხვის მესამე ბლოკში გამოიკვეთა გამოკითხულ მოხალისეთა ჩართულობამოხალისეობრივ საქმიანობაშიდა მათი დამოკიდებულება „ჰელფინგ ჰენდის“ პარტნიორი ორგანიზაციებისადმი. დადგინდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (77%) ყოფილა მოხალისე „ჰელფინგ ჰენდის“ სულ მცირე ერთ პარტნიორ ორგანიზაციაში. რესპონდენტთა ამ ჯგუფის შესახებ თუ ვისაუბრებთ, მათ 72%-ს მოხალისედ უმუშავია სოციალური თერაპიის სახლში, ხოლო 64%-ს – სათნოების სახლ „კათარზისში“ (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7




ამასთან ერთად, გამოვლინდა, რომ იმ რესპონდენტთა 70%-ს, რომელებიც იყვნენ ჩართულნი პარტნიორი ორგანიზაციების საქმიანობაში, საერთოდ არ შექმნიათ რამე პრობლემა აღნიშნულ ორგანიზაციებთან. ხოლო ერთმა მეოთხედმა (25%) აღნიშნა, რომ მათ იშვიათად ექმნებოდათ პრობლემები პარტნიორ ორგანიზაციებთან. ამ ქვეჯგუფის წარმომადგენლების მიერ ძირითად პრობლემებად დასახელდა სათანადო ინფორმაციის დროულად არ მიწოდება, სოციალურად დაუცველ პირებთან ურთიერთობის სირთულე, და ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციის სირთულე. პრობლემის არსებობის შემთხვევაში, გამოკითხულთა ნაწილი თავად ცდილობდა მის მოგვარებას, ნაწილს „ჰელფინგ ჰენდის" კოორდინატორები ეხმარებოდნენ.

გამოკითხულ მოხალისეთა მიერ პარტნიორი ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულება დადებითად შეფასდა. თითქმის ნახევრის (46%) აზრით, „ჰელფინგ ჰენდის" პარტნიორი ორგანიზაციები ყოველთვის გამოხატავდნენ მადლიერებას მათ მიერ შესრულებული სამუშაოთი. აგრეთვე, რესპონდენტთა 44%-მა აღნიშნა, რომ პარტნიორ ორგანიზაციებში მოხალისეობისას მათი მოლოდინები მოხალისეობრივი საქმიანობისადმი სრულიად გამართლდა. ამ მოსაზრებას გამოკითხულთა მხოლოდ 7% არ დაეთანხმა. მათი მოლოდინები ნაკლებად გამართლდა, ან საერთოდ არ გამართლდა (იხ. დიაგრამა 8).




აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (99%) დააფიქსირა, რომ ისინი ურჩევდნენ საკუთარ მეგობარს მსგავს მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვას, რომლითაც თავად იყვნენ დაკავებულნი.

### მოხალისეობა „ჰელფინგ ჰენდში“ - განწყობები და დამოკიდებულებები

ბოლო ბლოკი დაეთმო თავად ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდს“. გამოკითხულთა უმრავლესობამ (60%) ორგანიზაციის შესახებ მეგობრებისგან შეიტყო (იხ. დიაგრამა 9). აგრეთვე დიდი ნაწილი (85%) კმაყოფილი დარჩა „ჰელფინგ ჰენდში“ მოხალისეობით.




თუმცა, რესპონდენტთა შეფასებით, ვლინდება, რომ მათი მოხალისეობა ორგანიზაციაში უფრო პასიური გახდა ბოლო პერიოდში, ვიდრე ის იყო იმ დროს, როდესაც მათ მოხალისეობა დაიწყეს. გამოკითხულთა დაახლოებით მესამედმა (38%) აღნიშნა, რომ ისინი ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდში" ახლა ნაკლებად აქტიურად არიან ჩართულნი, ვიდრე ისინი იყვნენ, როდესაც ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ. ხოლო 22%-მა აღნიშნა რომ ისინი საერთოდ აღარ მოხალისეობდნენ (იხ. დიაგრამა 10). მიუხედავად ამისა, უმრავლესობამ (93%) აღინიშნა, რომ ისინი მომავალშიც გააგრძელებენ ორგანიზაციაში მოხალისეობას. აღსანიშნავია, რომ ამ გამოკითხულთა უმრავლესობაში ირიცხებიან, ის მოხალისეებიც, რომელთა მოხალისეობრივი საქმიანობა პასიური გახდა.

დიაგრამა 10

**თქვენი შეფასებით, რამდენად აქტიურად მოხალისეობთ „ჰელფინგ ჰენდში“? (%)**




დამატებით გამოიკვეთა, თუ რა საკითხები მოსწონთ, თუ მოსწონდათ რესპონდენტებს ორგანიზაციასთან თანამშრობლობისას. პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბრად გადანაწილდა და აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებს ყველაზე მეტად მოსწონდათ ორგანიზაციაში დაგეგმილი ღონისძიებები (35%), მას მოსდევს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (29%) და „ჰელფინგ ჰენდის“ პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლები და მოხალისეები – ანუ ის ადამიანები, ვისთანაც მათ უშუალო შეხება ჰქონდათ (27%). ხოლო „ჰელფინგ ჰენდში“ სამუშაო გარემო გამოკითხულთა მხოლოდ 8%-მა აღნიშნა. აქვე აღსანიშნავია, რომ, რესპონდენტთა აზრით, ორგანიზაციის მოხალისეთა შორის ძალიან მეგობრული ურთიერთობაა, ამ მოსაზრებას გამოკითხულთა 83% ეთანხმება. აგრეთვე, რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა (55%) თქვა, რომ მოხალისეები ხშირად ეხმარებიან ერთმანეთს სხვადასხვა ღონისძიებების დროს, 40%-მა კი დააფიქსირა, რომ მოხალისეები ყოველთვის მხარში უდგანან ერთმანეთს. გარდა ამისა, გამოკითხულთა აზრით, მოხალისეებს შორის იშვიათია კონკურენცია (იხ. დიაგრამა 11) და უმრავლესობამ (89%) აღიშნა, რომ მათ არასოდეს არ მოსვლიათ პირადი უთანხმოება სხვა მოხალისესთან. დამატებით, შეინიშნება რომ მოხალისეების გარკვეული ნაწილი, ასევე, ურთიერთობას აგრძელებს ერთმანეთთან ორგანიზაციის გარეთაც. დაახლოებით ერთმა მესამედმა (36%) დააფიქსირა, რომ მათ ხშირად აქვთ ურთიერთობა სხვა მოხალისეებთან ორგანიზაციის ფარგლებს მიღმა, ხოლო ნახევარზე მეტს (54%) იშვიათად აქვს კავშირი „ჰელფინგ ჰენდის“ სხვა მოხალისეებთან.

დიაგრამა 11




გამოკითხულმა მოხალისეებმა ასევე აღნიშნეს, თუ რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდში“. უმრავლესობის აზრით, რომელიც 35% შეადგენს, პრიორიტეტულია ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა. ასევე, როგორც პირველი არჩევანი, დასახელდა სამუშაო პირობებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (19%) და მატერიალური წახალისების დამატება მოხალისეებისათვის (19%). როგორც მეორე არჩევანი, დასახელებული იქნა კვლავ მატერიალური წახალისების შემოღება (37%), 29%-მა კი აქვე დასძინა, რომ ტრეინინგების რაოდენობის გაზრდა იქნებოდა სასურველი.

საბოლოოდ, შეფასდა თავად „ჰელფინგ ჰენდის“ ხელმძღვანელობა და ორგანიზაციაში მიღებული გამოცდილება. გამოკითხულთა 72%-მა თქვა, რომ მათ კარგი ურთიერთობა აქვთ ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან, დანარჩენმა 28% კი ეს ურთიერთობა ნეიტრალურად შეაფასა. აგრეთვე, დიდმა უმრავლესობამ (99%) აღნიშნა, რომ „ჰელფინგ ჰენდის“ ხელმძღვანელობა ზრუნავს საკუთარ მოხალისეებზე.

გამოკითხულთა ერთ მესამედს (33%) ორგანიზაციაში მიღებული გამოცდილება დაეხმარა სამსახურის პოვნაში, ხოლო 40%-მა ვერ განსაზღვრა, თუ რამდენად გამოსადეგი იყო მიღებული გამოცდილება ახალი სამსახურის დასაწყებად. თუმცა, ორ მესამედზე მეტმა (71%) აღნიშნა, რომ მათი რჩევით მეგობარმა დაიწყო მოხალისედ საქმიანობა ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდში“.

## დასკვნა

რესპონდენტებისათვის მოხალისეობა პიროვნული უნარების განვითარებასა და კეთილი საქმის უანგაროდ კეთების სურვილთანაა დაკავშირებული, თუმცა მათი უმრავლესობა ორგანიზაციის მხრიდან მცირე ფინანსური წახალისების მიღების მომხრეა, რაც ერთგვარად შეამცირებს მათი კვებისა და სატრანსპორტო ხარჯებს.

საერთო ჯამში, „ჰელფინგ ჰენდის" მოხალისეები კმაყოფილები არიან ორგანიზაციით და მათი ხელმძღვანელობით. აგრეთვე, გამოკითხულთა დაახლოებით მესამედს (35%) მოსწონს ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები. თუმცა, რესპონდენტების აზრით, სასურველი იქნებოდა, თუ „ჰელფინგ ჰენდი" გაზრდიდა ღონისძიებებისა და ტრეინინგების რაოდენობას. ასევე, დადებითად შეფასდა პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც გამოკითხულთა 77%–ს ჰქონია ურთიერთობა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოხალისეობრივი საქმიანობა გამოკითხულთა ერთ მესამედს დაეხმარა სამსახურის პოვნაში.

## მეორე კომპონენტი

### კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია დადგინდეს თბილისის უნივერსიტეტების სტუდენტების ჩართულობის დონე მოხალისეობრივ საქმიანობაში. ასევე – გაირკვეს, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან ახალგაზრდები იმ ორგანიზაციებისა თუ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ მოხალისეობრივი ინსტიტუტის დანერგვას საქართველოში. აგრეთვე, კვლევა მიმართულია, რომ გაირკვეს თუ რა ფაქტორები განაპირობებენ სტუდენტთა დაინტერესებას მოხალისეობრივი საქმიანობით და, პირიქით, რა გარემოებები უშლის ხელსმათ ჩართულობას ამ საქმიანობაში. გარდა ამისა, ყურადღება აგრეთვე ეთმობა ზოგადად მოხალისეობისადმი დამოკიდებულებას სტუდენტების მხრიდან და, საერთოდ, მისი დანერგვის საჭიროებას საქართველოში.

### კვლევის მეთოდოლოგია

თავდაპირველად დაგეგმილი იყო თბილისის ყველა აკრედიტებული სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი შერჩევის გამოკითხვა. თუმცა, შერჩევის დროს თავი იჩინა რამდენიმე პრობლემამ. სტუდენტთა შერჩევა სტუდენტთა სიების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სიები ყველა აკრედიტებულ უნივერსიტეტს აქვს, ზოგმა მათგანმა უარი თქვა ამ სიების მოწოდებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინფორმირებული იყვნენ როგორც გამოკითხვის მიზნების შესახებ, ასევე იმის თაობაზე, რომ გამოკითხულ სტუდენტთა ვინაობა ანონიმური დარჩებოდა.

თავდაპირველად ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდმა“ მიმართაგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სიების მოთხოვნით, რაზეც უარი მივიღეთ. სიების მოპოვების მიზნით, ორგანიზაციამ მოამზადა კორესპოდენციები და ინდივიდუალურად მიმართა თბილისში არსებულ ყველა აკრედიტირებულ უმაღლესს სასწავლებელს. „ჰელფინგ ჰენდის“ თანამშრომლები შეხვდნენ უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რათა დაერწმუნებინათ ისინი, რომ სიების მოწოდება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

ასეთი შეხვედრების შედეგად, სტუდენტთა სიები ორგანიზაციას მიაწოდა შემდეგმა უნივერსიტეტებმა:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
3. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)
8. საქართველოს უნივერსიტეტი.

საბოლოო ჯამში, ორგანიზაციის ხელთ იყო 49867 სტუდენტთა სია, რომელთგანაც შემთხვევითი წესით შეირჩა ბაკალავრიატის 1500 სტუდენტი. შერჩევა და, შესაბამისად, გამოკითხვის შედეგები, წარმომადგენლობითია ჩამოთვლილი უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის. შერჩეული სტუდენტებიდან 160-მა გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, გამოკითხულ იქნა ბაკალავრიატის 1340სტუდენტი, რომელთა ასაკი 17-დან 29 წლამდე მერყეობს.

კითხვარი შედგებოდა 27 კითხვისგან მოხალისეობის შესახებ, რომელთაც წინ უძღვოდა 7–კითხვიანი დემოგრაფიული ბლოკი. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით და გაგრძელდა ერთი თვის განმავლობაში, 2013 წლის 20 მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით.

## კვლევის შედეგები

### დემოგრაფიული მაჩვენებლები

გამოიკითხა თითქმის თანაბარი რაოდენობის მდედრობითი და მამრობითი რესპონდენტი (შესაბამისად, 52% და 48%). რესპონდენტთა შორის ჭარბობდნენ 20 და 21 წლის სტუდენტები (28% და 25%). გამოკითხულ სტუდენტთა შორის უმრავლესობა სწავლობდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე (19%), ასევე დასახელდა შემდეგი ფაკულტეტები: საბუნებისმეტყველო (13%), მედიცინა (12%) და სამართალმცოდნეობა (11%). რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (69%) არ არის დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში, თუმცა გამოკითხულთა ერთი მესამედის საშუალო თვიური დანახარჯი შეადგენს 151-დან 300 ლარამდე.

### მოხალისეობა თბილისში

გამოკითხულ სტუდენტთა დაახლოებით ერთი მესამედისთვის (29%) მოხალისეობა ნიშნავს სიკეთის უანგაროდ კეთებას, ერთ მეოთხედს (21%) მიაჩნია, რომ მოხალისეობა თავისუფალი დროის სასარგებლოდ გამოყენებაა, ხოლო 18%-ისთვის მოხალისეობა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასთან ასოცირდება. ამასთან, რესპონდენტთა დაახლოებით ორი მესამედი (59%) თვლის, რომ მოქალაქისთვის

მნიშვნელოვანია არაანაზღაურებადი მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულება (იხ. დიაგრამა 12).

დიაგრამა 12

**როგორ ფიქრობთ, კარგი მოქალაქისთვის რამდენად მნიშვნელოვანია მოხალისეობრივი (არაანაზღაურებადი) საქმიანობის შესრულება? (%)**




მოხალისეობის დონის შესაფასებლად, რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ მუშაობდნენ მოხალისედ გამოკითხვის ჩატარების პერიოდში, ან საერთოდ თუ ყოფილან ოდესმე მოხალისეები. დადგინდა, რომ გამოკითხვის პერიოდში გამოკითხულთა მხოლოდ 15% მოხალისეობდა. ხოლო მათ შორის, ვინც უარყოფითად უპასუხა ამ კითხვას, მხოლოდ 35% ყოფილა ადრე მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული. ყოფილი მოხალისეებიდან თითქმის ერთმა მესამედმა (28%) მოხალისეობის მოტივად სიკეთის უანგაროდ კეთების სურვილი დაასახელა, ხოლო თითქმის ერთი მეოთხედისთვის (18%) გამოცდილების მიღება იყო მთავარი მიზეზი (იხ. დიაგრამა 13). აგრეთვე გაირკვა, რომ მათ შორის, ვისაც უმოხალისია, ნახევარზე მეტი (54%) გარემოს დაცვაზე მიმართულ ღონისძიებებში იყო ჩართული, ხოლო 40% კულტურისა და ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებულ ღონისძიებებში იღებდა მონაწილეობას. ასევე, ყოფილ მოხალისეებს უმუშავიათ სფეროებში, როგორებიცაა განათლება (37%), ჯანდაცვა და სოციალური სფერო (35%), და სხვა.

დიაგრამა 13




იმ რესპონდენტებს შორის, ვისაც არასდროს უმუშავია მოხალისედ, 71%-მა განაცხადა, რომ ისურვებდა მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულებას. აგრეთვე, მათ დაასახელეს სხვადასხვა სფეროები, რომლებშიც ისინი ისურვებდნენ მოხალისეობას. ამ სფეროებიდან ჭარბობს განათლება (19%), კულტურა და ხელოვნება (17%), ჯანდაცვა და სოციალური სფერო (15%), და ასევე გარემოს დაცვა (13%). აღსანიშნავია, რომ ამ რესპონდენტთა უმრავლესობისთვის, რომელთაც აქვთ სურვილი მოხალისედ იმუშავონ, სულ ერთია, თუ რა ტიპის სექტორში მოუწევთ მოხალისეობრივი სამუშაოს შესრულება (იხ. დიაგრამა 14).

იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი არ ისურვებდნენ მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულებას, ამის მთავარ მიზეზად დაასახელეს საკმარისი დროის უქონლობა (51%). აგრეთვე, ამ გამოკითხულთა დაახლოებით ერთმა მეოთხედმა (23%) თქვა, რომ მათ უბრალოდ არ გააჩნიათ მოხალისეობის სურვილი. ხოლო 13%-მა მიზეზად დაასახელა ინფორმაციის უქონლობა არსებული შესაძლებლობების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტებმა, რომელებიც გამოკითხვის პერიოდში მოხალისეობდნენ, ასევე განაცხადეს, რომ დროის უკმარისობა არის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომ მათ უფრო მეტი დრო დაუთმონ მოხალისეობას.

დიაგრამა 14

**რომელ სექტორის მიერ შემოთავაზებულ მოხალისეობრივ პროგრამებს მიანიჭებდით უპირატესობას? (%)**




რესპონდენტებს ასევე დავუსვით კითხვები, თუ ზოგადად რას ფიქრობენ მოხალისეობის ინსტიტუტზე და, მათი აზრით, რამდენად მიშვნელოვანია, ან სასურველი მსგავსი ინსტიტუტის დანერგვა საქართველოში.

კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება ქართული საზოგადოებისთვის, გამოკითხულთა 69%-მა დადებითად უპასუხა. თუმცა, რესპონდენტთა ერთ მეოთხედს (25%) ნეიტრალური შეხედულება აქვს აღნიშნულ საკითხზე (იხ. დიაგრამა 15). ამასთან, გამოკითხულთა დაახლოებით ერთმა მეხუთედმა (18%) თქვა, რომ საერთოდ არაა საჭირო მოხალისეობა ისწავლებოდეს სასწავლო დაწესებულებაში, როგორც ერთ–ერთი საგანი. რესპონდენტთა 41%, პირიქით, მიიჩნევს, რომ ეს საჭიროა, 8%-მა კი აღნიშნა, რომ მსგავსი საგნის დამატება ძალიან სასურველია (იხ. დიაგრამა 16).

რესპონდენტებმა აგრეთვე დაასახელეს ის ფაქტორები, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ქართველ ახალგაზრდებში მოხალისეობის განვითარებას. გამოკითხულთა თითქმის ერთმა მესამედმა (29%) განაცხადა, რომ მოხალისეობის განვითარებას დაეხმარება ახალგაზრდული პროგრამების დანერგვა საქართველოში. ერთმა მეოთხედმა (25%) კი მთავარ ხელისშემწყობ ფაქტორად საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დაასახელა.

გამოკითხულ სტუდენტებს ასევე მოუყვანეს მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ, სადაც მოხალისეობის წახალისება პრეზიდენტის სპეციალური ჯილდოთი ხდება. მსგავსი ჯილდოს მფლობელ მოქალაქეებს ენიჭებათ

უპირატესობა სახელმწიფო სამსახურში დასაქმებისას და უმაღლეს სასწავლებელში სტიპენდიის მოპოვებისას. რესპონდენტთა უმრავლესობამ (64%) აღნიშნა, რომ მსგავსი ჯილდოს შემოღება ძალიან შეუწყობს ხელს მოხალისეობის კულტურის განვითარებას საქართველოში. გამოკითხულთა მხოლოდ 3%-მა თქვა, რომ მსგავსი ჯილდო არ შეუწყობს ხელს მოხალისეობის განვითარებას საქართველოში.

დიაგრამა 15

**რამდენად მნიშვნელოვანია მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება ქართული საზოგადოებისთვის? (%)**



დიაგრამა 16




მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (93%) დაეთანხმა, რომ მოხალისეობა ხელს უწყობს პროფესიულ წინსვლას (იხ. დიაგრამა 17).

დიაგრამა 17



თუმცა, აღსანიშნავია, რომ, გამოკითხულთა აზრით, მოხალისეობის ინსტიტუტი არ არის ეფექტური საქართველოში. რესპონდენტთა დაახლოებით ერთმა მეხუთედმა (19%) განაცხადა, რომ მოხალისეობის ინსტიტუტი საქართველოში საერთოდ არაა ეფექტური. გამოკითხულთა ერთმა მესამედმა (34%) მსგავსი ინსტიტუტების ეფექტურობა ნეიტრალურად შეაფასა, და მხოლოდ 15%-მა დაინახა მოხალისეობის ინსტიტუტის ეფექტურობა.

გამოკითხვის შედეგად ასევე ირკვევა, რომ გამოკითხულთა ინფორმირებულობა მოხალისეობრივი ღონისძიებებისა თუ ორგანიზაციების შესახებ საკმაოდ დაბალია. რესპონდენტთა მხოლოდ დაახლოებით ნახევარს (46%) სმენია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდებს მოხალისეობრივ საქმიანობასსთავაზობენ. ამასთან, გამოკითხულ სტუდენტთა დიდ ნაწილს (65%) არ გაუგია სახელმწიფოს მიერ წამოწყებული მოხალისეობრივი პროგრამების შესახებ. ამ პროგრამების შესახებ სმენია და მონაწილეობა მიუღია გამოკითხულთა მხოლოდ 9%-ს. აგრეთვე, გამოკითხულთა საკმაოდ მცირე ნაწილი ფლობს ინფორმაციას საერთაშორისო მოხალისეობრივი პროგრამების შესახებ. ამ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა მიუღია გამოკითხულთა მხოლოდ 6%-ს, და რესპონდენტთა უმრავლესობას (70%) არც კი სმენია აღნიშნული პროგრამის შესახებ.

ასევე, გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას (72%) არ სმენია ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდის“ შესახებ. გამოკითხულთა დაახლოებით ერთ მეოთხედს (24%) გაუგია ამ ორგანიზაციის შესახებ, თუმცა მათ აღნიშნეს, რომ ისინი არ არიან გაწევრიანებულნი ამ ორგანიზაციაში. „ჰელფინგ ჰენდში“ რესპონდენტთა მხოლოდ 5% აღმოჩნდა გაწევრიანებული. აგრეთვე, გამოკითხულთამხოლოდ 12%–მათქვა, რომ ისინი იღებენ მონაწილეობას ამ ორგანიზაციის მიერ გამართულ ღონისძიებებში.

## შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ახალგაზრდების დამოკიდებულება მოხალისეობისადმი და აგრეთვე დაგვედგინა, თუ რა ფაქტორები განაპირობებ ახალგაზრდებისჩართულობას მოხალისეობრივ საქმიანობაში.

კვლევამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდების მოხალისეობის დონე თბილისში საკმაოდ დაბალია. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ახალგაზრდების არაინფორმირებულობა იმ ორგანიზაციებისა, თუ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მოხალისეობრივ საქმიანობას სთავაზობენ. აღსანიშნავია, რომ ახლაგაზრდების უმრავლესობამ გამოთქვა მზადყოფნა მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულიყო, თუმცა ასევე დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ დროის სიმცირის გამო ისინი ვერ ახერხებენ დამატებითი საქმიანობით დაკავდნენ.

